ნინო გვასალია

სპეციალურ პედაგოგთა პრობლემები და საჭიროებები

წარმოდგენილია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო

ივლისი 2019

საავტორო უფლება 2019 ნინო გვასალია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნინო გვასალიას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „**სპეციალურ პედაგოგთა პრობლემები და საჭიროებები**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
2019 წელი

ავტორი: ნინო გვასალია

დასახელება: „სპეციალურ პედაგოგთა პრობლემები და საჭიროებები“

ფაკულტეტი: განათლების კვლევები და ადმინისტრირება

ხარისხი: განათლების მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია

აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

გამომდინარე იქიდან, რომ ინკლუზიური განათლების საქმეში აუცილებელი როლი სწორედ სპეციალურ პედაგოგებს უკავიათ, თუმცა, რიგი მიზეზების გამო ისინი მაინც აწყდებიან უამრავ პრობლემას, რაც ხელს უშლით სასურველი შედეგების მიღწევაში, ეს საკითხი დღემდე აქტუალობას არ კარგავს. ამის შესახებ,ხშირად ვხვდებით კვლევებს, სტატიებსა თუ სატელევიზიო სიუჟეტებს, თუმცა ჯერჯერობით პრობლემები მოუგვარებელია, სპეციალური პედაგოგები კვლავ არიან სირთულეების წინაშე და შესაბამისად, ეს საკითხი ისევ აუცილებლად საჭიროებს გადახედვას, პრობლემების გამოვლენასა და გარკვეული რეფორმების გატარებას.

წინამდებარე კვლევის მიზანი გახლავთ, სწორედ იმის დადგენა, თუ რა სიტუაციაა დღეს სპეციალური პედაგოგების მუშაობის კუთხით როგორც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, ასევე, რეგიონებში, რა ძირითადი ასპექტები ვლინდება მიდგომების მხრივ უშუალოდ სსსმ მოსწავლეეთან ურთიერთობისას და როგორ შეიძლება იმ სირთულეების გადალახვა, რომელსაც ვაწყდებით.

კვლევისას გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები: სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი. რესპონდენტები გახლდათ როგორც თბილისის, ასევე, რეგიონების საჯარო სკოლების სპეციალური პედაგოგები.

კვლევის შედეგად მივიღეთ საინტერესო მონაცემები, გამოვლინდა არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი და პრობლემები.

ზემოხსენებული პრობლემების გადაჭრის გზები კი განხილულია ნაშრომის სარეკომენდაციო ნაწილში.

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ შალვა ტაბატაძეს და ამავე უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს ქეთევან აფთარაშვილს, არამარტო სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის, არამედ ჩემი უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გამოვლენილი მუდმივი მხარდაჭერისთვის.

მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც დამეხმარა, მომცა რჩევები და დამიდგა გვერდით.

Summary

Due to the fact that special educators have the necessary role in inclusive education, however, due to a number of reasons, they face many problems that prevent them from achieving the desired results. We often encounter researches, articles or TV stories, but problems are still unresolved, special teachers are still in difficulty and therefore need to review, solve problems and implement certain reforms.

The purpose of this research is to determine exactly what the situation in the field of special teachers is in the capital of our country as well as in the regions, what are the main aspects in the approach to the student in direct contact with the learner and how to overcome the difficulties revealed.

Qualitative research methods were used in the study: in-depth interviews and focus groups. Respondents were special teachers of public schools of Tbilisi as well as regions.

As a result of the survey we have received interesting data, revealed several important aspects and problems.

The ways of solving these problems are discussed in the recommendation section of the paper.

Special thanks

I would like to thank the Associate Professor of Eastern Europe University, Mr. Shalva Tabatadze and the Assistant Professor of the same University, Ketevan

Aftarashvili, Head of Training Process Management, not only for supporting the Master's work but for continuous support.

I would like to thank all the people who helped me and gave me advice and support.

სარჩევი

შესავალი 1

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა 3

1.1. საქართველოში არსებული პრობლემები ანაზღაურების, ტექნიკური რესურსებისა თუ მიმღებლობის კუთხით 3

1.2. უცხო ქვეყნების გამოცდილება 9

თავი II. კვლევები სპეციალური პედაგოგების საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ 17

2.1. კვლევის მიზანი და ამოცანები 18

2.2. კვლევის მეთოდოლოგია 18

თავი III. საჯარო სკოლებში ჩატარებული კვლევის შედეგები სპეციალური მასწავლებლების პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ 22

3.1. სპეციალურ პედაგოგთა განათლება, ცოდნა და კომპეტენციები 22

3.2. პროფესიული განვითარება და ამ კუთხით არსებული პრობლემები 23

3.3. უმაღლეს სასწავლებელში მიღებული პრაქტიკა 26

3.4. სამუშაო პრაქტიკა, საკლასო მიდგომები და მეთოდები 28

3.5. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მიმღებლობა სასკოლო თემის მხრიდან 29

3.6. სპეციალური მასწავლებლის პრობლემები საკუთარი უფლებამოსილების ეფექტურად განსახორციელებლად 37
3.7. ანაზღაურება, მოტივაცია, ხელშეწყობა 39
დასკვნა 42
გამოყენებული ლიტერატურა: 46

შესავალი

ქვეყანაში საზოგადოების მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და სოციალური წინსვლისათვის აუცილებელია, უდიდესი ყურადღება ექცეოდეს განათლების სფეროს.

განათლების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს სასწავლო გარემოს საზოგადოების თითოეულ წევრზე მორგების საკითხს, რომელთაგან, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლებაა, ამაში კი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სპეციალური მასწავლებლები, რომელთაც უშუალოდ აქვთ შეხება სსსმ მოსწავლეებთან სასწავლო პროცესის განმავლობაში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთათვის განათლების ხელშეწყობის აუცილებლობა სახელმწიფომ აღიარა 2004 წლიდან (ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა, 2009); საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვა დაიწყო 2006 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. 2013-2015 წლებში კი სახლემწიფოს მხრიდან უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის კუთხით, სწორედ, სპეციალური პედაგოგებისა და სხვა დამხმარე სპეციალისტების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა გახლდათ (ჭანტურია და სხვები, 2016).

დღეს საქართველოს ნებისმიერ სკოლაში ვხვდებით თუნდაც ერთ სსსმ მქონე მოსწავლეს, შესაბამისად, აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭიროა, ყველა სკოლას ჰყავდეს სპეციალური პედაგოგი, რომელიც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვს, მაქსიმალურად ჩაერთოს საგანმანათლებლო პროცესში და მიიღოს არამარტო განათლება, არამედ, ადაპტირდეს გარემოსთან და იმ საზოგადოებასთან რომელშიც იმყოფება. თუმცა, მიუხედავად

ზემოხსენებული აუცილებლობისა და მთელი რიგი საჭიროებებისა, რომელთაც განვიხილავთ კვლევაში, ამ ეტაპზე არ არსებობს სპეციალური მასწავლებლებისთვის მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას.

კვლევის მიზანია დაადგინოს რა პრობლემებს აწყდებიან დღესდღეობით სპეციალური პედაგოგები სამუშაოს კუთხით და რაა საჭირო იმისთვის, რომ მიაღწიონ დასახულ მიზნებს.

საკვლევი კითხვები:

რა საჭიროებები აქვთ სპეციალურ მასწავლებლებს?

როგორია სპეციალური მაწავლებლების ყოველდღიური პრაქტიკა?

რა ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობს მათ სამუშაო პრაქტიკაში?

კვლევის მეთოდოლოგია გახლავთ **თვისებრივი** კვლევის მეთოდი, რომელიც მოიცავს, სიღრმისეულ ინტერვიუებსა და ფოკუს-ჯგუფს სპეციალური პედაგოგების მონაწილეობით.

შერჩევა

რესპონდენტები შეირჩნენ როგორც თბილისის, ასევე, რეგიონების სკოლებიდან, სხვადასხვა ასაკის, ცოდნისა და კომპეტენციის მქონე მოქმედი სპეციალური პედაგოგები.

თემის აქტუალობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამომდინარე იქიდან, რომ ინკლუზიური განათლების საქმეში აუცილებელი როლი სწორედ სპეციალურ პედაგოგებს უკავია და ბევრი მიზეზის გამო ისინი მაინც აწყდებიან უამრავ პრობლემას, რაც ხელს უშლით სასურველი შედეგების მიღწევაში, ეს საკითხი დღემდე აქტუალობას არ კარგავს. ხშირად ტარდება კვლევები და იწერება სატელევიზიო თუ ბეჭდური ინტერვიუები იმის დასადგენად, თუ რა საჭიროებები აქვთ სპეციალურ პედაგოგებს, რა ძირითად პრობლემებს

აწყდებიან სახელმწიფოს მხრიდან თუ თავად იმ კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოში სპეციალური მასწავლებლების საქმიანობასთან დაკავშირებით არსებული სიტუაციისა და პრობლემების უკეთესად გასაანალიზებლად, საჭიროა, განვიხილოთ გარკვეული ლიტერატურა, რომელიც მოგვცემს ინფორმაციას ზემოხსენებული საკითხის შესახებ.

1.1. საქართველოში არსებული პრობლემები ანაზღაურების, ტექნიკური რესურსებისა თუ მიმღებლობის კუთხით

ერთ-ერთ ყველაზე მნიშნელოვან სალიტერატურო მასალას წარმოადგენს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის გაიდლაინი, სადაც განხილულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშნელოვანი საკითხი, 71-ე გვერდიდან კი საუბარია კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების უფლებასა და ამ თემასთან დაკავშირებულ პრობლემებზე (გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის გაიდლაინი, 2014).

საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციას შეუერთდა 2014 წლის 12 აპრილს. კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, მისი მიზანია, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და

ძირითად თავისუფლებათა რეალიზება, მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემა (გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის გაიდლაინი, 2014).

შშმ პირთა განათლების უფლებას ადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 24-ე მუხლი, რაც მოიაზრებს ინკლუზიური განათლების დანერგვასა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მთელი ცხოვრების განმავლობაში. თუმცა, როგორც ზემოხსენებულ გაიდლაინშა ნათქვამი, აქ ვლინდება გარკვეული ხარვეზები.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, საქართველოში განათლების კუთხით არსებული ვითარება აჩვენებს, რომ აშკარაა ინკლუზიური განათლების პრაქტიკაში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად პირდაპირ კავშირშია სპეციალურ პედაგოგთა საკითხთან და საჭიროებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემურ მუშაობას.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის გაიდლაინში ვკითხულობთ, რომ ინკლუზიური განათლების განხორციელებისას ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს სწორედ პედაგოგთა არაკვალიფიცირება. მწვავედ დგას მასწავლებელთა პროფესიული მზაობის ხარისხი და მათი გადამზადების საკითხი.

როგორც ზემოთ ხსენებულ გაიდლაინში წერია, აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადებისა და მუდმივი მომზადებისკენ მიმართული პროგრამების განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან. საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჭიროა როგორც ადაპტირებული გარემოს მოწესრიგება, ასევე, სხვა სპეციალური აღჭურვილობისა და ტექნიკური რესურსების არსებობა, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ სპეციალურმა პედაგოგმა შეძლოს, განახორციელოს ინკლუზიური განათლება.

გარდა ზემოხსენებულისა, ქართული წყაროებიდან, ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სალიტერატურო მასალას წარმოადგენს 2018 წელს საქართველოს მასშტაბით ჩატარებული პირველი კვლევა სახელწოდებით ,,სპეციალური მასწავლებელი, როგორც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი რესურსი და არსებული გამოწვევები", რომელიც პირველი კვლევაა მხოლოდ სპეციალური მასწავლებლების საკითხების შესახებ.

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო სისტემაში არსებული სპეციალური მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციის განსაზღვრა, რომელიც გულისხმობს სტატუსს, ფუნქციებსა და მოვალეობის შესასრულებლად არსებული მომზადების/გადამზადების ხერხებს.

მიმღებლობა

როგორც კვლევის ანგარიშში ვკითხულობთ, ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა სისტემური პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან სპეციალური პედაგოგები. ერთ-ერთი პრობლემა გახლავთ მიმღებლობა, რაშიც იგულისხმება ის, რომ სსსმ მოსწავლის საჯარო სკოლაში მიღება ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს სისტემისათვის, რადგან ყველა მასწავლებელს თავისი ღირებულებიდან და კომპეტენციიდან გამოდინარე არ აქვს დადებითი პასუხი კითხვაზე "ჩემს გაკვეთილზე უნდა იჯდეს?!". გამოვლინდა, რომ ინკლუზიური პოლიტიკის ფონზე ჯერ კიდევ ჩნდება კითხვები: ,,ვინ და სად ისწავლის?", რაც წესით აღარ უნდა არსებობდეს, რამაც ნათლად გამოავლინა, რომ ინკლუზიური სწავლების მიმართ მზაობის საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლია (,,სპეციალური მასწავლებელი, როგორც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი რესურსი და არსებული გამოწვევები", 2018).

ზოგადი პრობლემა - სკოლებში რესურსების სიმწირე.

კვლევამ, ასევე, გამოავლინა ზოგადი პრობლემა - სკოლებში რესურსების სიმწირე. გამომდინარე იქიდან, რომ ადეკვატური ინკლუზიური გარემოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა რესურსები, რომლის არსებობაც ქნის სწორედ იმ ადაპტირებულ გარემოს, სადაც უნდა გნვითარდეს და მიიღოს განათლება სსსმ მოსწავლემ. ამიტომ, აუცილებელია, ყველა სკოლაში არსებობდეს ეს რესურსები, თუმცა კვლევის ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მისი სკოლა ფაქტობრივად ცარიელია და ელემენტარული, განმავითარებელი სათამაშოებიც კი არ აქვთ.

გარდა მატერიალური რესურსებისა, კვლევაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ სკოლას აქვს მეთოდური დეფიციტიც - არ იციან როგორ იმუშავონ, როგორ ასწავლონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს წერა-კითხვა, არ არსებობს მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები და სხვა.

ანაზღაურება

კვლევის მიხედვით, უდიდეს პრობლემას წარმოადგენს სპეციალური პედაგოგების ანაზღაურების საკითხი. როგორც ნაშრომში ვკითხულობთ, ისინი აღნიშნავენ, რომ მიუხედვად იმ საკმაოდ სტრესული სამუშაოსი, რომლის შესრულებაც შედის მათ მოვალეობაში, მათი ხელფასი მასწავლებლის საშუალო ხელფასს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.

როგორც კვლევაში ვკითხულობთ, არსებობს მოსაზრება, რომ სპეციალური მასწავლებლები ჩვეულებრივ მასწავლებლებთან არ უნდა იყვნენ გათანაბრებული. მათ უნდა ჰქონდეთ მეტი და განსხვავებული ხელფასები.

ზემოთ განხილული კვლევის ბოლოს აღნიშნულია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მასწავლებლებისთვის ხელფასებისა და დანამატების ახალი მოდელის შექმნას გეგმავს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მასწავლებლები ამბობენ, რომ სახელმწიფოს დახმარება და გვერდში დგომა აუცილებლად სჭირდებათ მოტივაციის ასამაღლებლად, სქემის შექმნა კი სპეციალური მასწავლებლებისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც დამატებითი რესურსების კუთხით დამარება.

ქართული წყაროებიდან საინტერესო მასალად შეიძლება განვიხილოთ ცისანა შერგილაშვილის სტატია სახელწოდებით **„კანონი აღიარებს ადამიანს სპეციალურ მასწავლებლად, მაგრამ სისტემა არ ცნობს მას!“** , სადაც ნათლად არის წარმოდგენილი სპეციალურ მასწავლებლებთან დაკავშირებული საინტერესო ასპექტები. ავტორი პირველ სერიოზულ პრობლემად გვისახავს დაბალ ანაზღაურებას, რის გამოც, როგორც გამოკითხული დირექტორები ამბობენ, სკოლაში მოხვედრილი კვალიფიციური კადრი მალევე წერს განცხადებას და მიდის, რადგან უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურს პოულობს სხვა სფეროში, რის შემდგომაც, სკოლას უწევს ახალი კადრების მოძიება, რითაც უკმაყოფილონი არიან როგორც მშობლები, ასევე, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშებიც, რადგან ისინი ეჩვევიან პედაგოგს (შერგილაშვილი, 2017).

ინკლუზიური განათლების შესახებ მნიშვნელოვან სალიტერატურო მასალას წარმოადგენს კვლევის ანგარიში **,,საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლებისა და მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი“** რომელიც წარმოადგენს განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებული ორი პროექტის: ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და ინკლუზიური სწავლების განხორციელების მონიტორინგის ანგარიშს.

პროექტი განხორციელდა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ((ISSA) მიერ და მიზნად ისახავდა საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლების მრავალმხრივ შესწავლას.

კვლევის მეთოდოლოგიაში ვხვდებით, როგორც თვისებრივი, ასევე, რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 26 საჯარო სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილეები და 63 მასწავლებელი. თვისებრივი კვლევა მოიცავდა 10 მოსწავლის შემთხვევის შესწავლას, რისთვისაც შეირჩა ორი ჯგუფი : 1) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, რომელთაც აქვთ შშმ პირის სტატუსი ან განვითარების სხვადასხვა სფეროში არსებული თავისებურებები (ჯგუფი 1) და (2) სახელმწიფო პროგრამაში „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში (http://inclusion.ge/res/docs/201806151459088740.pdf).

კვლევის შედეგად ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად სპეციალური პედაგოგებისთვის გამოვლინდა თავად სპეციალური პედაგოგების ნაკლებობა სკოლაში. კვლევამ აჩვენა, რომ სპეციალურ მაწავლებლებს უმეტეს სკოლაში უწევთ მოსწავლეთა ზედმეტად დიდ რაოდენობასთან მუშაობა, ამ მხრივ სათანადო მხარდაჭერას კი ვერ გრძნობენ.

რაოდენობრივმა კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ საჯარო სკოლების დიდ ნაწილში პრობლემა არსებობს ისგ-ის დანერგვისა და განხორციელების კუთხითაც. როგორც კვლევაშია აღნიშნული, ისგ-ის დანერგვა და განხორციელება საჯარო სკოლებში არათანმიმდევრულად ხდება, რადგან იშვიათ შემთხვევში თუ ადგენს მას სკოლის ისგ-ის გუნდი, უმეტესად ეს ხდება საგნის ან სპეციალური პედაგოგების მიერ დამოუკიდებლად, ეს კი აჩენს სერიოზულ რისკებს, რადგან შეიძლება გეგმა ეყრდნობოდეს არაკომპეტენტურ შეფასებებს. გარდა ამისა, ხშირად იწერება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თუმცა არ ხდება მისი გამოყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში და იგი უბრალოდ რჩება ფურცელზე დაწერილ გეგმად.

გარდა ზემოხსენებულისა, კვლევის ანგარიშში ამბობენ, რომ, რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, საჯარო სკოლების დიდი ნაწილი ვერ ახერხებს სსსმ მოსწავლეებზე მორგებული ფიზიკური გარემოს შექმნას, რაც ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს ინკლუზიური განათლების პროცესში.

როგორც ანგარიშში ვკითხულობთ, კვლევამ ცხადყო, რომ ფიზიკური გარემოს საკითხი პირდაპირ კავშირშია სკოლისათვის ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსებთან, რომლის მოგვარებაც აუცილებლად უნდა შედიოდეს სახელმწიფოს ინტერესებში, ასევე, გამოვლინდა, რომ სპეციალური მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარების სქემის შემოღება, რაც ხელს შეუწყობს მათი საქმიანობას, ასევე, საჭიროა მასწავლებლების ინფორმირებულობის ამაღლება ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებით.

1.2. უცხოეთში არსებული პრობლემები და გამოცდილება სსსმ მოსწავლეთა სწავლების მხრივ

ჩემი ნაშრომის ფარგლებში უნდა განვიხილო რამდენიმე კვლევა და სტატია, რათა წარმოვაჩინო სხვა ქვეყნების გამოცდილება სპეციალური განათლების კუთხით, ასევე, შეძლებისდაგვარად შევისწავლო უცხოეთში არსებული პრობლემები, რომელსაც აწყდებიან იქ მყოფი სპეციალური მასწავლებლები და რეფორმები, რომლებიც ტარდება იმისთვის, რომ ინკლუზიური განათლება იყოს მაქსიმალურად სწორად მიმართული და მორგებული განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე.

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე კვლევა და სტატია მასწავლებლის საჭიროებების მიხედვით, რომელთა ქვეთავები დავაჯგუფე გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე.

ქართული სალიტერატურო მასალა უცხო ქვეყნებში ინკლუზიური განათლების შესახებ

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლების შესახებ არსებული მასალებიდან საკმაოდ საინტერესოა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ განხორციელებული კვლევის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის პრაქტიკა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში“ საფუძველზე მომზადებული ნინო გურულის სტატია ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლება ევროპაში“.

სტატიაში განხილულია ევროპული ქვეყნების მაგალითები განათლების ნებისმიერი ადმიანისათვის ხელმისაწვდომობის შესახებ. წარმოდგენილია ის, თუ რა საშუალებებს იყენებენ ავსტრიის, ესპანეთის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების სკოლების სპეციალური მასწავლებლები იმისათვის, რომ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები მაქსიმალურად ახერხებდნენ სასწავლო პროცესში ჩართულობას და იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები (გურული, 2013).

ავტორის თქმით, სახელმწიფოები მრავალმხრივ ზომებს მიმართავენ იმისათვის, რომ სსსმ მოსწავლეებმა მაქსიმალურად შეძლონ საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვა - მათთვის გამოყოფილია უფასო საკოლო ტრანსპორტი, ავსტრიაში სსსმ მოსწავლეებს ასისტენტი ენიშნებათ, რომელსაც ევალება მოსწავლის სკოლაში ტარება, უკან წაყვანა და სკოლის პერიოდში საჭიროების შემთხვევაში მისი დახმარება ყველა მხრივ.

გარდა ზემოხსენებულისა, როგორც ავტორი ამბობს, ესპანეთის სკოლებში შექმნილია ისეთი გარემო, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს სსსმ მოსწავლის გადაადგილებასა და მის ურთიერთობას

საზოგადოების სხვა წევრებთან. ასევე, ამბობს, რომ უცხოეთში დიდი ყურადღება ექცევა სსსმ მოსწავლეთათვის ბრაილის შრიფტისა და ჟესტების ენის სწავლებას და იმას, რომ შვედეთში ჟესტების ენა განათლების საგნად არის აღიარებული.

კანადის მაგალითი

ამ კუთხით საინტერესოა კანადის განათლებისა და მეცნიერების ცენტრის მიერ ჩატარებული ერთ-ერთიკვლევა სახელწოდებით ,,Problems Faced by Preservice Special Education Teachers in Jordan“ (Ghaleb M. Al-Hiary1 , Hisham A. Almakanin2 & Suha A. Tabbal3 , January 28, 2015) რომელიც მიზნად ისახავდა იმ პრობლემების გამოვლენასა და მათი გადაჭრისათვის საჭირო გზების მიგნებას, რომლის წინაშეც დგანან დღესდღეობით სპეციალური პედაგოგები.

კვლევაში გამოყენებული იყო როგოც რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი კვლევის მეთოდები და სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებშიც მოხდა სხვა მნიშვნელოვანი კვლევებისა და მასალების სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი.

სპეციალურ პედაგოგთა არასათანადო მომზადების პრობლემა

კვლევაში ნათლად არის აღნიშნული, რომ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების განათლების კუთხით წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია სპეციალური მასწავლებლების განათლების ხარისხი. თუმცა, როგორც ავტორები ამბობენ, აღნიშნულმა კვლევამ დაადგინა, რომ პედაგოგები არ არიან სათანადოდ გადამზადებულნი, რის გამოც ისინი აწყდებიან პრობლემებს თავად საკლასო ოთახშიც კი.

კვლევა, გარდა ზემოხსენებულისა, გამოკვეთს რამდენიმე პრობლემას: სასწავლო პროგრამების შეუთავსებლობას, მასწავლებელთა ნაკლებ პრაქტიკას, სასწავლო პრაქტიკული გეგმის მოუწესრიგებლობას,

ტრენერებისა და ინსტრუქტორების ნაკლებობას. ამ პრობლემების მოგვარება კი აუცილებელ ფაქტორად ისახება ინკლუზიური განათლების სრულყოფისათვის.

კალიფორნიის შტატის მაგალითი

საინტერესო მასალას წარმოადგენს სტატია სახელწოდებით ,,Social Issues That Special Education Teachers Face" (*Laura Woods, 2018) .* სტატიაში განხილულია კლიფორნიაში არსებული სიტუაცია სპეციალური პედაგოგების მხრივ.

ნაშრომში თავდაპირველად მოკლედ არის მიმოხილული ზოგადად სპეციალური მასწავლებლის როლი ინკლუზიურ განათლებაში, შემდეგ კი საუბარია იმ მეთოდებსა და მიდგომებზე, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ სპეციალურმა პედაგოგმა შეძლოს, დასწავლის უნარის, ფსიქიკური, ემოციური თუ ფიზიკური შეზღუდვის მქონე მოსწავლესთან ურთიერთობა და მისთვის განათლების მიწოდება.

როგორც სტატიაში ვკითხულობთ, თითოეულ სსსმ მოსწავლეს ესაჭიროება ინდივიდუალური მიდგომა, ასევე, მრავალფეროვნება სწავლების პროცესში, რისთვისაც, სპეციალური პედაგოგი უნდა ცდილობდეს, რომ ხშირად შეცვალოს გაკვეთილის გეგმა -ახსნის მეთოდები. როგორც ავტორი ამბობს, ზოგჯერ, მიუხედავად სპეციალური მასწავლებლების შრომისმოყვარეობისა, ისინი აწყდებიან მთელ რიგ პრობლემებს:

არასაკმარისი მ ხარდაჭერა

როგორც სტატიაში ვკითხულობთ, სკოლის სხვა მასწავლებლებთან შედარებით სპეციალურ პედგოგებს სკმაოდ რთულ პირობებში უწევთ მუშაობა, რადგან ხშირად სკოლის ადმინისტრაციას არ ესმის თუ რა რეურსებსა და სხვა საჭიროებებს მოითხოვს სრულყოფილი ინკლუზიური განათლება, რის გამოც აწყდებიან წინააღმდგობას. ამიტომაც, ავტორის თქმით, აუცილებელია მეტი ინფორმირებულობა, მეტი შეხვედრები და

ტრნინგები როგორც სპეციალური პედაგოგებისთვის, ასევე, ადმინისტრაციისა და სხვა მასწავლებლებისთვის.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან სალიტერატურო მასალას წარმოადგენს მინესოტას შტატში, კაპელას უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული სტატია სახელწოდებით ,,What are the Challenges of Being a Special Education Teacher?" (August 13, 2013), სადაც აღნიშნულია, რომ სპეციალური პედაგოგები გაცილებით მეტ პრობლემას აწყდებიან, ვიდრე სკოლის სხვა წარმომადგენლები, რის გამოც ისინი ხშირდ ტოვებენ თავინთ სამუშაო ადგილს. ამას ძირითადად განაპირობებს ის, რომ სპეციალურ მასწავლებლებს თითქმის არ აქვთ პროფესიულად განვითარების შესაძლებლობა, რთულად დგას იმ პროგრამების სიმწირის სააკითხი, რომელიც დაეხმარებათ მათ რაიმე სიახლის მიღებასა და სწავლებაში; გარდა ამისა, არის მთელი რიგი პრობლემები, მათ შორის ისიც, რომ სპეციალურ მასწავლებლებს ხშირად არ აღიარებენ და ისინი ვერ გრძნობენ სათანადო მხარდაჭერას საზოგადოების მხრიდან.

გარდა ზემოხსენებულისა, როგორც სტატიაში წერია, სპეციალური პედაგოგებისგან სკოლის ადმინისტრაცია ხშირად ითხოვს იმაზე მეტის გაკეთებას, ვიდრე მათ ევალებათ, ხელფასები კი გაცილებით დაბალია, ვიდრე სკოლის სხვა თანამშრომლებს აქვთ. სპეციალური პედაგოგები განიცდიან ინკლუზიური სწავლებისათვის აუცილებელი რესურსების სიმწირეს, არ არიან ტექნიკურად უზრუნველყოფილნი, რის გამოც უჭირთ დასახული მიზნების მიღწევა.

როგორც ავტორი ამბობს, აუცილებელია სპეციალურ პედაგოგს ჰქონდეს მაქსიმალური მხარდაჭერა როგორც სახელმწიფოს, ასვე, თავად იმ საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან, რომელშიც ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას.

შვედეთისა და ფინეთის მაგალითი

სპეციალურ პედაგოგებთან დაკავშირებით საინტერესო მასალას წარმოადგენს კვლევა სახელწოდებით ,, SPECIAL EDUCATION IN SWEDEN AND FINLAND -seeing the forest or the trees? “ (Takala, M., & Ahl, A. 2014), რომელშიც განხილულია შვედეთსა და ფინეთში არსებული სიტუაცია და მიდგომები ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით, ასევე, სპეციალური მსწავლებლებისა და სპეციალური პედაგოგების მუშაობის სხვადასხვა ასპექტი და ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები. სწორედ შვედეთში ვხვდებით სსსმ მოსწავლეებთან მომუშავე პირთა დაყოფას ორ კატეგორიად: სპეციალური პედაგოგები და სპეციალური მსწავლებლები. მათ შორის შემდეგი განსხვავება: სპეციალურ პედაგოგს უმეტესწილად აქვს კონსულტანტის როლი - ის პასუხისმგებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებულ ხვადასხვა საკითხზე და უშუალო კონტაქტი და ურთიერთობა აქვს მშობლებთან, სხვა მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, სხვა თანაშემწეებთან და ა.შ. სპეციალური მასწავლებელი კი მუშაობს უშუალოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან და ეხმარება მათ განათლების მიღებასა და გარემოსთან ადაპტაციაში.

ფინეთში არ გვხვდება, შვედეთის მსგავსად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწაავლეებთან მომუშავე პირთა ორ კატეგორიად დაყოფა, აქ ზემო აბზაცში მოყვანილ ორივე მოვალეობას ითავსებს ერთი პირი - სპეციალური მასწავლებელი.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით. ელექტრონური კითხვარი, დაიგზავნა შვედეთისა და ფინეთის 6 ქალაქში. იგი შედგებოდა 29 კითხვისგან, რომელთაგან 17 იყო დახურული, ხოლო 12 - ღია კითხვა.

კვლევაში მონაწილეობისთვის თავდაპირველად შვედეთის ფარგლებში შეირჩა 83 რესპონდენტი, რომელთაგან 9 არ აღმოჩნდა არც

ამჟამად მოქმედი სპეციალური პედაგოგი და არც სპეციალური მასწავლებელი, რის გამოც საბოლოოდ დარჩა 74 რესპონდენტი.

74 რესპონდენტიდან 27 არის სპეციალური მასწავლებელი, 47 - სპეციალური პედაგოგი.

ფინეთიდან შეირჩა 133 სპეციალური მასწავლებელი.

კვლევებმა გამოავლინა რამდენიმე პრობლემა, რომელთაგან ერთ-ერთი გახლავთ კოლეგიალურობის დაბალი ხარისხი. შვედეთში გამოვლინდა სპეციალურ პედაგოგებსა თუ სპეციალურ მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის დეფიციტი; ფინეთში, ისევე როგორც შვედეთში, აღმოჩნდა, რომ სპეციალურ მასწავლებლებს არ აქვთ სათანადო კავშირი სხვა საგნის მასწავლებლებთან ან მშობლებთან, რაც იწვევს გარკვეულ ხარვეზებს სწავლების პროცესში.

გარდა ზემოხსენებულისა, კვლევამ აჩვენა, რომ როგორც ფინეთის, ასევე, შვედეთის სპეციალურ მასწავლებელთა თუ სპციალურ პედაგოგთა ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად მიიჩნევა არასაკმარისი დრო. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლებში არიან საკმაოდ დიდი რაოდენობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და თითოეული მათგანი მოითხოვს განსაკუთრებულ, ინდივიდუალურ მიდგომას, გამოყოფილი დრო არასაკმარისია და ზოგჯერ ვერ ესწრება სწავლების განხორციელება, ამავდროულად, დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება და კონსულტაციები. როგორც ერთ-ერთმა სპეციალურმა მასწავლებელმა თქვა, შეუძლებელია ყველაფრის მოგვარება იმ დროში, რომელიც აქვთ გამოყოფილი და ამის გამო ხშირად მიაჩნიათ, რომ საგნის მასწავლებლებს აქვთ გაცილებით დიდი მხარდაჭერა, ვიდრე სპეციალურ მასწავლებლებს.

კვლევამ აჩვენა ის, თუ ძირითადად რა პრობლემების მქონე გასაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან

უწევთ მუშაობა სპეციალურ პედაგოგებსა თუ სპეციალურ მასწავლებლებს. ამ კუთხით გამოვლინდა შემდეგი ძრითადი დარღვევები: წერისა და კითხვის დასწავლს უნარის დაქვეითება, მათემატიკის შესწავლის პრობლემა და რთული ქცევა. ყველა ზემოთ მოყვანილი პრობლემის არსებობისა, სპეციალური მასწავლებელი ნებისმიერ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს უნდა მიუდგეს ინდივიდუალური მეთოდებით. როგორც კვლევაში მონაწილე სპეციალურმა მასწავლებლებმა აღნიშნეს, სწავლების პროცესში ისინი იყენებენ ხვადასხვაგვარ მეთოდებს - ზეპირ ტესტებს, კომპიუტერს, საინტერესო თამაშებს, ჯგუფურ დისკუსიებს, თვალსაჩინოებისთვის სხვადასხვა საგნებსა და ისეთ კომპლექსურ მიდგომებს, როგორიცაა ,,word-read + spelling programme“. ეს ყველაფერი მქსიმალურად ეხმარება განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოოსწავლეს, გაუადვილდეს საგნის შესწავლა.

კვლევის შედეგებმა გამოავლინეს პრობლემა სსსმ მოსწავლეების გარემოსთან და სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაციასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ ხშირად ისინი გარიყულად გრძნობენ თავს, გაკვეთილებზე კომპლექსდებიან, რის შედეგადაც უფრო უჭირთ შესწავლა და საკუთარი თავი გამოვლენა. როგორც სპეციალური მასწავლებლები და სპეციალური პედაგოგები ამბობენ, ამ პრობლემის გამოსასწორებლად აუცილებელია, პირველ რიგში, მხარდაჭერა იგრძნობოდეს საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საზოგადოების მხრიდან, რომელშიც მოიაზრებიან სხვა მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და ა.შ. როგორც ამბობენ, საჭიროა მათი მაქსიმალურად ინფორმირება, საუბარი როგორც სხვა მასწავლებლებთან და მშობლებთან, ასევე, თავად სსსმ მოსწავლეებთან. ბევრი, მაგრამ აუცილებლად სწორი კომუნიკაცია ზრდის მიმღებლობას როგორც სხვების მხრიდან,ასევე, საკუთარი თავის მიმართ.

საგნის პედაგოგების მიდგომა

სტატიის მიხედვით, კიდევ ერთ პობლემას წარმოადგენს ის, რომ პედაგოგს ურჩევნია სსსმ მოსწავლე უფრო ხშირდ იყოს რესურს ოთახში, ვიდრე კლასში, რაც იწვევს მარტოობისა და გარიყულობის გრძნობას, ამ საკითხი მოსაგვარებლადაც აუცილებელია, საგნის მასწავლებელს კარგად ესმოდეს ინკლუზიური განათლების არსი.

მშობელთა ჩართულობა

როგორც ვკითხულობთ, პრობლემას წარმოადგენს თავად მშობელთა ნაკლები ჩართულობა და ინტერესი ინკლუზიური განათლების საკითხში. მოსწავლის აკადემიური წარმატების მისაღწევად, აუცილებელია, მშობელი მაქსიმალურად ედგეს ბავშვს გვერით, თუმცა სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში ხშირად ასე არ ხდება. მოსწავლეები სკოლის გარეთ ატარებენ დროის 70%-ს ამიტომაც, პედაგოგს ესაჭიროება მშობლის მხარდაჭერა და დახმარება იმაში, რომ ბავშვმა სახლშიც იმუშავოს, შეასრულოს თუნდაც უმარტივესი დავალებები, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ მშობლები ყოველთვის არ არიან დაინტერესებული განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების სწავლების პროცესში ჩართულობით, ვითარება რთულდება.

ანაზღაურება

და ბოლოს, სტატიაში განხილულ უდიდეს პრობლემას წარმოადგენს სპეციალურ პედაგოგთა დაბალი ხელფასი, რომელიც გაცილებით ნაკლებია საგნის მასწავლებლის ხელფასზე და რისი გამოსწორებაზეც აუცილებლად უნდა იზრუნოს სახელმწიფომ.

თავი II. კვლევები სპეციალური პედაგოგების საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ

2.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს რა პრობლემებს აწყდებიან დღესდღეობით როგორც თბილისის, ასევე, რეგიონების საჯარო სკოლების სპეციალური პედაგოგები სამუშაოს კუთხით, როგორია მათი ხედვა დღევანდელ ინკლუზიურ განათლებათან დაკავშირებით, რა ძირითადი მეთოდებით ხელმძღვანელობენ და რამდენად არიან თავას მზად იმისათვის, რომ სწორად წარმართონ სასწავლო პროცესი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით, რაა აუცილებელი იმისთვის, რომ სპეციალურმა მასწავლებელმა შეძლოს სრულყოფილად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, მიაღწიოს დასახულ მიზნებს და მისცეს ცოდნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს.

2.2. კვლევის მეთოდოლოგია

იმისათვის, რათა დავადგინოთ ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარება და გამოვავლინოთ სპეციალურ მასწავლებლებთან დაკავშირებული პრობლემები თუ მათი საჭიროებები შშმ პირთა განათლების მიღებასთან დაკავშრებით, ჩავატარეთ კვლევა, რომელიც მოიცავს თვისებრივი კვლევის მეთოდს, კერძოდ, სიღრმისეულ ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფს.

თვისებრივი კვლევის მეთოდი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ უფრო ღრმა ცოდნა და გავიგოთ მეტი იმ ადამიანის შესახებ, რომელთა შეხედულებებსა და მოსაზრებებსაც შევისწავლით. ამ მეთოდის ყველაზე გამორჩეულ დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ შეგვიძლია კარგად

დავინახოთ და აღვწეროთ საკითხი საკვლევი ობიექტების თვალით (თ. ზურაბიშვილი, 2006).

კვლევის პირველ ეტაპზე, მომზადდა კითხვარი, რომელიც შემუშავდა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების კონვენციის 24-ე მუხლის მიხედვით, სადაც საუბარია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლების მიღების უფლებებსა და ხელმისაწვდომობაზე , ასევე, იმ სხვა ქართულ თუ უცხოურ მასალებზე დაყრდნობით, რომელიც გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და რა თქმა უნდა, დღევანდელი ქართული რეალობისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.

კვლევის მეორე ეტაპზე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩატარდა ფოკუს - ჯგუფი, რომლის უპირატესობადაც ითვლება, ის, რომ ჯგუფური საუბრისას, რესპონდეტები ხდებიან უფრო გულახდილნი და შეიძლება ისაუბრონ ისეთ საკითხებზე, რომლის შესახებაც პირისპირ, სიღრმისეული ინტერვიუს მსვლელობისას არაფერი ეთქვათ.

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა 5 ექსპერტთან, რომლებადაც მოაზრებულ იქნენ სპეციალური პედაგოგები. თითოეული მათგანის ასაკი განსხვავდებოდა და მერყეობდა 25 -დან 53 წლამდე, მდედრობიოთი სქესი. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებიდან ორს ჰქონდა სპეციალურ პედაგოგად მუშაობის ერთწლიანი სტაჟი, დანარჩენ სამს - 2, 3 და 4 წლიანი სტაჟები. განსხვავებული იყო რესპონდენტთა ცოდნა და კომპეტენციებიც - მათგან მხოლოდ ერთს ჰქონდა დამთავრებული უმაღლესი სასწავლებლის საბაკალავრო საფეხური ინკლუზიური განათლების მიმართულებით, დანარჩენებს კი - ფსიქოლოგია და სამედიცინო.

ფოკუს -ჯგუფი მიმდინარეობდა 2 საათსა და 15 წუთს.

რესპონდენტების აზრები და შეხედულებები არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით განსხვავდებოდა, ფოკუს ჯგუფის შედეგად გამოვლინდა საინტერესო ასპექტები, რომლებსაც კვლევის ანალიზში განვიხილავთ.

კვლევის მესამე ეტაპი მოიცავდა სიღრმისეულ ინტერვიუებს.

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა დარგის ექსპერტებთან, რომლებადაც მოიაზრნენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და ცოდნის ადამიანები - სპეციალური მასწავლებლები, რომელთაც ამ ეტაპზე უშუალოდ აქვთ შეხება შშმ პირთა სწავლებასთან.

რესპონდენტები შეირჩნენ როგორც თბილისის, ასევე, რეგიონების საჯარო სკოლებიდან, რამაც საშუალება მოგვცა მიგვეღო უფრო მრავლისმომცველი ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით. კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტი გახლდათ მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, რომელთა ასაკი საშუალოდ მერყეობს 23-50 წელში.

კითხვარი შედგებოდა 52 კითხვისგან, რომელთაგან პირველი 8 კითხვა გახლდათ გაცნობითი ხასიათის, დანარჩენი კი - ღია კითხვა, რომელთა უმრავლესობაც მოითხოვდა საკმაოდ სიღრმისეული პასუხების გაცემას

კვლევაში მონაწილე თითოეულმა რესპონდენტმა იცოდა, რომ ეს იყო ნებაყოფლობითი, შეეძლოთ, თავი შეეკავებინათ რომელიმე კითხვაზე პასუხის გაცემისგან. ასევე, ავუხსენით, რომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია კვლევის საბოლოო ანგარიშში განზოგადებული იქნებოდა და არ მოხდებოდა ცალკეული მასწავლებლის აზრის იდენტიფიცირება.

ინტერვიუერი გახლდათ კვლევის ავტორი. თითოეულ რესპონდენტთან ინტერვიუ მიმდინარეობდა დაახლოებით 45- 60 წუთს.

ინტერვიუების ჩატარებისას ვიხელმძღვანელეთ თინათინ ზურაბიშვილის სახელმძღვანელოს „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ მიხედვით. მეტი ინფორმაციის მისაღებად გამოვიყენთ ამ წიგნში

აღწერილი რესპონდენტების გულახდილობის გამომწვევი ისეთ მეთოდები, როგორიცაა: ექო, რომლის დროსაც თუ მკვლევარი არ არის სათანადოდ კმაყოფილი პასუხით, ნელა იმეორებს რესპონდენტის მიერ წარმოთქმულ ბოლო სიტყვებს, რის შემდეგაც დიდია ალბათობა, რომ რესპონდენტი დაუბრუნდება საკითხს და განავრცობს მას; სიჩუმე, როდესაც საუბრის დასრულების შემდგომ მკვლევარი იმის ნაცვლად, რომ მორიგი კითხვა დასვას, ისევ ჩუმად ზის, რის გამოც უხერხული სიტუაციიდან გამოსასვლელად, რესპონდენტი უბრუნდება საკითხს, თუმცა დუმილი უნდა იყოს ზომიერი, რადგან იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტი უბრალოდ აღარ აპირებს საუბარს, ეს სიჩუმე შესაძლოა, მართლაც უხერხული გახდეს და განაცხადი, როდესაც ინტერვიუერი რესპონდენტს ისე აჩვენებს თავს თითქოს განსახილველი საკითხის შესახებ ყველაფერი ნაცნობია, რისი საშუალებითაც, რესპონდენტს უქრება უხერხულობის გრძნობა რაიმე თემასთან დაკავშირებით, რადგან ფიქრობს, რომ მკვლევარისთვის ისედაც ნაცნობია (ზურაბიშვილი, 2006).

კვლევის ჰიპოთეზა:

1. განხილული ლიტერატურის საფუძველზე კვლევის ჰიპოთეზა ჩამოყალიბდა ასე - სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები მხარდაჭერა როგორც ანაზღაურების, ასევე, პროფესიული განვითარების კუთხით, პრობლემას ქმნის სპეციალური მასწავლებლების საქმიანობაში.

2. პრობლემები ვლინდება როგორც სკოლებში არსებული არაადაპტირებული და განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეზე მორგებული გარემოს არარსებობის კუთხით, ასევე, თავად სპეციალური მასწავლებლების არასათანადოდ მომზადების მხრივ.

თავი III. საჯარო სკოლებში ჩატარებული კვლევის შედეგები სპეციალური მასწავლებლების პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ

3.1. სპეციალურ პედაგოგთა განათლება, ცოდნა და კომპეტენციები

ნებისმიერი დასაქმებული პიროვნება საჭიროებს კვალიფიკაციასა და ცოდნას იმ სფეროში, რომელშიც ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას, მათ შორის არიან სპეციალური მაწავლებლები, რომელთა ცოდნასა და მიდგომებზეა დამოკიდებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება და მომავალში ყოველდღიურ ცხოვრებაში თავის დამკვიდრება.

საინტერესო გახლდათ ის, თუ რა სახის ცოდნა და კვალიფიკაციაა საჭირო იმისთვის, რომ სპეციალურმა მასწავლებელმა მაქსიმალურად კარგად შეძლოს თავისი მოვალეობის შესრულება და მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, სპეციალური მასწავლებლისთვის უცილებელია ფსიქოლოგის ან\და პედაგოგის განათლება.

ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას მოხდა აზრთა სხვადასხვაობა, ნაწილი ფიქრობდა, რომ პირველ რიგში საჭირო იყო პედაგოგის განათლება, რადგან იცოდეს ზოგადად ბავშვთან მიდგომის ფორმები, მითუმეტეს, რომ სსსმ მოსწავლეები გაცილებით მეტი სიფრთხილით მოპყრობას საჭიროებენ, რისთვისაც, უცილებელია მასწავლებლის კომპეტენცია; ხოლო ფოკუს ჯგუფის ნაწილი ცალსახად ფიქრობდა, რომ სპეციალური პედაგოგი აუცილებლად, პირველ რიგში, უნდა იყოს ფსიქოლოგი, რადგან

ფსიქოლოგიის ცოდნა ეხმარება მასწავლებელს სწორად მიუდგეს ამა თუ იმ პრობლემის მქონე მოსწავლეს.

გარდა ფილოლოგისა და ფსიქოლოგის კომპეტენციებისა, კვლევაში გამოკითხულმა თითქმის ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია პიროვნული თვისებები, ბავშვების სიყვარული, გულთბილი დამოკიდებულება და იმის უნარი, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუქმნას მაქსიმალურად კომფორტული და მეგობრული გარემო; უნდა იყოს გულისხმიერი, კომუნიკაბელური და კრეატიული.

რესპონდენტთა აზრით, სპეციალურ მასწავლებლად მუშაობისთვის საჭიროა უმაღლესი განათლება, დამატებით, სხვადასხვა ტრენინგის გავლა, ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპების ცოდნა, ასევე, უნდა ერკვეოდეს განვითარების სხვადახვა ტიპის დარღვევაში და უნდა იცნობდეს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სტრატეგიებსა და პრინციპებს.

3.2. პროფესიული განვითარება და ამ კუთხით არსებული პრობლემები

ნებისმიერ სფეროში დასაქმებული ადამიანისათვის საჭირო და აუცილებელია პროფესიული ცოდნის მუდმივი განვითარება, რაც ხელს უწყობს პიროვნების კარიერულ წინსვლასა და იმ უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, რომელიც ესაჭიროება.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ დღესდღეობით, ინკლუზიური განათლების კუთხით ცოდნა და გამოცდილება არასკმარისია, სპეციალური მასწავლებლების ნაწილს არ გააჩნია კომპეტენციები, რაც კარგად ვლინდება პრაქტიკაში - როგორც რესპონდენტები ამბობენ, ტერმინოლოგიის დონეზეც კი ხვდებიან ისეთ შეცდომებს, რაც უკვე მიუღებელი უნდა იყოს.

კახეთის სკოლებში გამოკითხულთა ნაწილი ამბობს, რომ არსებობენ მასწავლებლები, რომელებიც საკითხის არცოდნის მიუხედავად, არ ცდილობენ ცოდნის მიღებასა და პროფესიულ განვითარებას, ინტერესი ნაკლებია და სკეპტიკურად არიან განწყობილნი, თუმცა, გამოყოფენ მეორე კატეგორიასაც, რომელსაც სურს გაიგოს და მეტი შეისწავლოს ინკლუზიური განათლების კუთხით და განავითაროს თავისი უნარ-ჩვევები.

გამოკითხულ რესპონდენტთა პასუხებიდან დადგინდა, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში გვყავს თავიანთ საქმეში კომპეტენტური და მცოდნე სპეციალური პედაგოგებიც, რომლებიც მუდმივად მუშაობენ საკუთარ თავზე, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ინკლუზიური სწავლება შედარებით ახალი პროგრამაა, როგორც რესპონდენტები ამბობენ, ამ მიმართულებით მასწავლებელთა კომპეტენტურობის გასაზრდელად საჭიროა რიგი სიახლეების შემოღება, უცხოური გამოცდილებების გადმოტანა და რაც მთავარია, ტრენინგების ჩატარება.

ტრენინგები ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა იმ ცოდნის მისაღებად და კომპეტენციების ასამაღლებლად, რომელიც პროფესიულ წინსვლაში გვეხმარება.

გამოკითხულ სპეციალურ პედაგოგთა 100% ამბობს, რომ პროფესიული განვითარების შესაძლებლობა ძალიან იშვიათად აქვთ, მათგან 80%-ს გავლილი აქვს მაკლეინის მიერ ორგანიზებული, მასწავლებლის სახლის მიერ დაგეგმილი და ჩატარებული 120-საათიანი ტრენინგი, რომელიც სავალდებულოა და ტარდება ერთხელ, სამი თვის განმავლობაში.

თბილისის სკოლებში გამოკითხული რესპონდენტები ამბობენ, რომ სკოლებს მხოლოდ 120-საათიანი ტრენინგის ჩატარების საშუალება აქვთ, ისიც წელიწადში ერთხელ დ მანდაც ყველა მსურველი ვერ ხვდება.

კასპისა და კახეთის სკოლებში გამოკითხულმა სპეცილურმა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ, ვინც პირველი წელია ასწავლის, საერთოდ არ მისცეს ზემოხსენებული 120-საათიანი ტრენინგის გავლის საშუალება.

ის რესპონდენტები, რომლებმაც მოახერხეს და გაიარეს მასწავლებლის სახლის მიერ ჩატარებული 120-საათიანი ტრენინგი, ერთხმად აღიარებენ მის მნიშვნელობას და ამბობენ, რომ ძალიან გაიზარდნენ პროფესიული კუთხით. მათი თქმით, აქ ისწავლება ის ძირითადი საკითხები და მიდგომები, რომლის გამოყენებაც აუცილებელია ინკლუზიური განათლების პროცესში, ესენია თუნდაც, რთული ქცევის მართვა, ინკლუზიური განათლების ზოგადი შესავალი, ფსიქოლოგია და ა.შ.

ისინი ამბობენ, რომ 120-კრედიტიან ტრენინგზე ასწავლიან ყველაფერს - როგორ შევქმნათ ადაპტირებული გარემო საგაკვეთილო პროცესის მიმდინრეობისას, როგორ დავწეროთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; მათი თქმით, ეს არის საბაზისო კურსი, რომლის ფარგლებშიც სწავლობს სპეციალური პედაგოგი თუ რა უნდა გააკეთოს სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთნ მუშაობისას.

გამოკითხულთა ნაწილს 120-საათიანი ტრენინგი გარდა, საკუთარი სურვილითა და სახსრებით, გავლილი აქვს ფასიანი ტრენინგები, უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის სასწავლო ცენტრში, რაც, როგორც ამბობენ, ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა. რესპონდენტების თქმით, ტრენინგი მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ ნაწილს. მათ ტრენინგის ფარგლებში მიიღეს ლიტერატურა და მასალები, რომელიც სასარგებლოა და დღეს პრაქტიკაში იყენებენ. ისინი აღნიშნვენ, რომ შეიძინეს მნიშვნელოვანი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გმოცდილება, რომელიც ტრენინგზე კოლეგებთან ერთად შესრულებული სავარჯიშოებისა და დავალებების საშუალებით განმტკიცდა და, ასევე, მიიღეს კონკრეტული რეკომენდაციები, რომელიც ყოველდღიურ მუშაობაში სასარგებლოა. მათი თქმით, ტრენინგი

მოიცავდა იმგვარ რეალურ მაგალითებსა და ქეისებს, როგორსაც რეალობაში ვაწყდებით, რამაც სრულად გაამართლა მათი მოლოდინები.

თუმცა, მიუხედავად 120-საათიანი მასწავლებლის სახლის მიერ ჩატარებული და სხვა ფასიანი ტრენინგებისა, გამოკითხულთა 100% აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი პროესიული განვითარებისთვის არასაკმარისია, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გასაღრმვებლად აუცილებელი და მნიშვნელოვანია მეტი ტრენინგის ჩატარება. მათ სურთ მიიღონ მეტი ცოდნა და განავითარონ საკუთარი თავი ინკლუზიური განათლების მხრივ, რადგან აინტერესებთ და უყვართ ეს საქმე.

- ,, **ჩვენ ყველანი მზად ვართ დამატებითი ტრენინგებისათვის, სურვილი გვაქვს უფრო კონკრეტულად გავიაროთ გარკვეული საკითხები - დოკუმენტაციებთან, რესურსებთან, მიდგომებთან დაკავშირებით,** " - აღნიშნავს ბათუმის ერთ-ერთი სკოლის სპეციალური პედაგოგი.
- **,,თუნდაც ერთსაათიანი ტრენინგიც რომ ჩამიტარონ, მე აუცილებლად დავესწრები, რადგან ესეც რაღაცას მასწავლის, სიახლეს მაჩვენებს, შეიძლება ის ერთი-ორი სიტყვაც კი ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ჩემს ყოველდღიურ პრაქტიკაში. 120-საათიანი ტრენინგის გარდა, აუცილებლად უნდა ტარდებოდეს სხვა უფასო ტრენინგებიც, რათა ყველა დაინტერესებულმა პედაგოგმა შეძლოს მისი გავლა და ცოდნის მიღება**" - აღნიშნავს რეგიონის სკოლის ერთ-ერთი სპეცილური მასწავლებელი.

3.3. უმაღლეს სასწავლებელში მიღებული პრაქტიკა

საინტერესოა, რამდენად სპეციალურ მასწავლებელს აქვს ბაკალავრის ხარისხი ინკლუზიური განათლების კუთხით, რამდენად არიან

ისინი დსაქმებულნი თავიანთი სპეციალობით და არსებობდა თუ არა ბაკალავრზე სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლესთან მუშაობის თეორიული კურსი? ასევე, უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას უტარდებოდათ თუ არა სხვა არასპეციალიზირებული პედადოგიური თუ საგნობრივი კურსი ინკლუზიური განათლების შესწავლის კუთხით?

როგორც კვლევებმა აჩვენა, დღესდღეობით, სპეცილურ მასწავლებელთა 90%-ს არ აქვს გავლილი ინკლუზიური განათლების საკითხებთან დაკავშირებული კურსი ბაკალავრიატის განმავლობაში. გამონაკლისებს წარმოადგენენ ისინი, ვისაც ფსიოლოგიის ფაკულტეტი აქვთ დამთარებული. ორი მათგანი აღნიშნავს, რომ ფსიქოლოოგიის კურსის ფარგლებში უტადებოდათ ბევრი საგანი, რომელიც ეხებოდა ინკლუზიურ განათლებას: ინკლუზიური განათლების საფუძვლები, ქცევითი პრობლემები სკოლაში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია, რომელიც ბავშვის განვითარების დარღვევებს მოიცავდა და სხვა.

გამოკითხული რესპონდენტებიდან მხოლოდ ერთმა, ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მას უმაღლეს სასწავლებელში ბაკალავრიატი ინკლუზიური განათლების მიმართულებით დაამთავრა და გავლილი აქვს ყველაფერი თითოეულ დარღვევასთან და პრობლემასთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გაატარა ერთსემესტრიანი პრაქტიკა თბილისის მე-10 საჯარო სკოლის რესურს ოთახში, სადაც უშუალოდ ჰქონდა შეხება ბავშვებთან და აკეთებდა ყველაფერს, რაც შედიოდა სპეციალური მასწავლებლის მოვალეობაში.

თბილისის ერთ-ერთი სკოლის სპეციალური მასწალებელი კი აღნიშნავს, რომ სწორედ უნივრსიტეტში სწავლის პერიოდში გაიარა პრაქტიკა თბილისის 198-ე სკოლაში ინკლუზიური განათლების შესახებ, რაც ძალიან

საინტერესო იყო და რამაც გააბედინა, რომ შეიძლებოდა სპეციალური პედაგოგი გამხდარიყო.

რეგიონის სკოლაში გამოკითხული რესპონდენტებიდან ორმა აღნიშნა, რომ ჰქონდათ ინკლუზიური განათლების პრინციპების 5-დღიანი ტრენინგ-კურსი, შიდა საუნივერსიტეტო, რომელიც ჩატარდა 2011 წლის აპრილში. ასევე, ჩაუტარდათ გაგოშიძის სახელობის ტრენინგი, რომელიც, როგორც ამბობენ, საკმაოდ ნაყოფიერი იყო.

როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ რამდენიმე სპეციალური მასწალებელია, რომელთაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს დამთავებული ბაკალავრი ან მაგისტრატურა ინკლუზიური განათლების კუთხით .

3.4. სამუშაო პრაქტიკა, საკლასო მიდგომები და მეთოდები

თითოეული სპეციალური საგანმნათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მოითხოვს მასზე მორგებულ, ინდივიდუალურ მიდგომებს, რომელთა ცოდნა და სწორად განსაზღვრა სპეციალური პედაგოგის უმთავრი მოვალეობაა.

როგორც თბილისის ერთ-ერთი სკოლის ფოკუს ჯგუფის მონაწილეები თანხმდებიან, საუკეთესო მიდგომად მიჩნიათ ყველა ბავშვთან საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ინდივიდუალური მუშაობის პროცესის დაგეგმვა და სწორად წარმართვა, თითოეული მათგანის უნარის გამოვლენა და განვითარება, თვითშეფასების ამაღლება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით მუშაობა. შექება-წახალისება, სწორი მოლოდინების ჩამოყალიბება.

რეგიონის ერთ-ერთი სკოლის სპეციალური მასწავლებლები ამბობენ, რომ ნებისმიერ სიტუაციაში საუკეთესო მიდგომას წარმოადგენს რწმენის

განმტკიცება, რომ შეუძლებელი არაფერია, შემდეგ კი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე აქტივობების განხორციელება.

რაც შეეხება კახეთის ერთ-ერთი სკოლის სპეციალურ პედაგოგს, იგი აღნიშნავს, რომ ყველაზე ეფექტური მიდგომა კომფორტული გარემოს შექმნა და შემდგომ მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზებაა, რის შემდეგაც სსსმ მოსწავლეები გაცილებით მოტივირებულები ხდებიან და შედეგიც უფრო მალევეა სახეზე, ვიდრე სტანდარტული მეცადნეობისას.

ერთ-ერთი სკოლის სპეციალური მასწავლებელი აღნიშნავს, რომ საუკეთესო მიდგომა სსსმ მოსწავლეებისადმი არის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურად ჩართულობა. მისი თქმით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებმა არ უნდა გააატარონ დიდი დრო რესურს ოთახში, რადგან ინკლუზიური სწავლება სწორედ გულიხმობს სსსმ მოსწავლეების კლასში, ტიპური განვითარების მოსწავლეებთან ერთად სწავლებასა და სასწავლო პორცესში ჩართულობას და არა მათ დიფერენცირებას.

კვლევის შედეგად, სწავლების მეთოდების მხრივ, გარდა ზემოხსენებულისა, გამოიკვეთა მულტიმოდალური სწავლება, ნაბიჯ-ნაბიჯ სწავლების მეთოდის გამოყენება, სწავლება აღმოჩენით, ილუსტრირებული საკითხავი მასალის ფართოდ გამოყენება და ა.შ.

3.5. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მიმღებლობა სასკოლო თემის მხრიდან

ყოველთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მიმღებლობის საკითხი საზოგადოების მხრიდან. ეს პრობლემა განსაკუთრებით ვლინდება სკოლის ასაკში და მოუგვარებლობის

შემთხვევაში, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მენტალური სირთულეებით იჩენს თავს. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მიმღებლობის დაბალი ხარისხის გამო გამოწვეული პრობლემები, საჭიროა გამოვლინდეს თუ რა სიტუაციაა დღესდღეობით ამ მხრივ საჯარო სკოლებში და როგორ შეიძლება პოზიტური განწყობის შექმნა სპეციალური მასწავლებლების მხრიდან, იმისათვის, რომ სსსმ მოწავლეები გრძნობდნენ მაქიმალურ მხარდაჭერას როგორც სკოლის პერსონალის, ასევე, მოსწავლეების მხრიდან.

როგორც გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიმღებლობა თავად მოსწავლეების მხრიდან გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა მასწავლებლების მხრიდან.

- **„მოსწავლეების მხრიდან ყველაზე მეტად იგრძნობა მიმღებლობა, მასწავლებლებზე და მშობლებზე მეტადაც კი, ისინი ზრუნავენ ამ ბავშვებზე და მე ვთვლი, რომ ეს ორმხრივად არის დადებითი როგორც სსსმ მოსწავლისთვის, ასევე, ტიპური განვითარების მოსწავლისათვის, რადგან ის სწავლობს ტოლერანტობას, ემპათიას და ა.შ“**, - ამბობს კახეთის ერთ-ერთი სკოლის სპეც მასწავლებელი.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დაწყებით კლასებში განსაკუთრებით იგრძნობა მიმღებლობა ბავშვების მხრიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისადმი, ამბობენ, რომ ისინი ძალიან მეგობრულები არიან და იხსენებენ კონკრეტულ პოზიტიურ მაგალითს, როდესაც თავად ბავშვებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ამეცადინებდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, ჯგუფური მეცადინეობები ნამდვილად დადებითად აისახა აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეზე, ეს ინიციატივა კი გამოიყენეს კლასში

და მიიღეს ძალიან კარგი შედეგი; ასევე, იხსენებენ ფაქტს, როდესაც კლასში ჰყავდათ მოსწავლე ყურადღების დეფიციტითა და კონცენტრაციის არქონით, მათი თქმით, მოსწავლეები მაქსიმალურად იყვნენ ჩართულები სსსმ ბავშვის წახალისებაში, გვერდიდან არ შორდებოდნენ და ეხმარებოდნენ კლასში ყველა დავალების შესრულებაში.

ფოთის ერთ-ერთი საჯარო სკოლის სპეციალური პედაგოგიც იხსენებს ბავშვების მხრიდან მიმღებლობის პოზიტიურ მაგალითს:

- ***„სსსმ მოსწავლეს გაკვეთილზე გვერდით უზის ტიპურად განვითარებული თანაკლასელი, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს დაეხმაროს იქნება ეს მათემატიკური ამოცანები თუ ქართულის დავალება, ხშირად ახალისებს სიტყვიერი დადებითი კომენტარებით,(მაგ: შენ შეგიძლია, რა კარგად ამოხსენი, ხმამაღლა ისაუბრე და ა.შ.)“.***

როგორც თბილისის ერთ-ერთი სკოლის სპეციალური მასწავლებელი ამბობს, მოტორული შეზღუდვის მქონე მოსწავლეებისთვის მათ სკოლაში დაინერგა აქტივობები, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭროების მქონე მოსწავლეების სპორტში ჩართვას გულისხმობს, ისინი ჩვეულებრივ ჩაყავთ სპორტის გაკვეთილებზე, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს მათ ინტეგრირებას საზოგადოებასთან. როგორც სპეციალური პედაგოგი ამბობს, მოსწავლეები მაქსიმალურად ეხმარებიან მოტორული შეზღუდვის მქონე მოსწავლეს, არიან მეგობრულები და არაფრით გამოარჩევენ მას სხვებისგან.

საინტერესოა კახეთის სკოლის ერთ-ერთი სპეციალური მასწავლებლის მიერ მოყვანილი პოზიტიური მაგალითი იმ ბავშვის შესახებ, რომელსაც გადაადგილება უჭირს, თანკლასელები კი ყველანაირად ეხმარებიან და მხარში უდგნან მას, დაატარებენ მის ჩანთას, ეშველებიან

ადგომაში, წერაში და ა.შ. აქ სპეცილური პედაგოგი ამბობს, რომ ასეთ შემთხვვაში ლომის წილი კლასის დამრიგებლს უჭირავს, რადგან იგი მუდამ ცდილობს ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებს თავიდანვე ჩაუნერგოს სსსმ ბავშვებისადმი სიყვარული, პატივისცემა და უანგარო თანადგომის გრძნობა.

როგორც კვლევამ აჩვენა ზოგიერთ სკოლაში მიმღებლობა დაბალია, ზოგჯერ ბავშვები არაფრად აგდებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს და სპეციალურ პედაგოგებს უწევთ ხშირი საუბრები მოსწავლეებთან იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ადამიანის რაიმე ნიშნით გამორცევა, რომ ყველანი ერთმანეთისგან განსხვავებულები არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, უნდა იმეგობრონ და იურთიერთონ. როგორც სპეციალური პედაგოგი ამბობს ამ საკითხის შესახებ, ყველას ცნობიერება სრულად ვერ შეცვალა, თუმცა ნეგატიური დამოკიდებულება ნამდვილად აღარ ვლინდება.

რაც შეეხება, ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეების მშობლების დამოკიდებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისადმი, გამოკითხულ რესპონდენტთა 70% ამბობს, რომ მათ კლასში უარყოფითი დამოკიდებულება არ შეუნიშნავთ, ტიპური განვითარების ბავშვების მშობლებს აქვთ ჩვეულებრივი მიმღებლობა სსსმ მოსწვლეების მიმართ, დანარჩენი 30 % კი აღნიშნავს, რომ სსსმ მოსწავლის რთული ქცევის გამო, ზოგიერთ მშობელს უჭირს შეგუება, თუმცა, ასეთი შემთხვევა ძალიან იშვიათადაა და თუ არის, მარტივად მოგვარებადია.

მხოლოდ ერთ საინტერესო ეპიზოდს იხსენებს ფოთის ერთ-ერთი სკოლის სპეციალური პედაგოგი:

- **,,როცა დავიწყე მუშაობა და კლასში შევედი, ერთმა მშობელმა საერთოდ ვერ გაიაზრა რას ნიშნავდა სპეციალური პედაგოგი, ამიტომ დამრიგებლისთვის უთქვამს, რომ არ უნდოდა მემუშავა მის**

შვილთან, რომელიც ტიპური განვითარების მოსწავლე იყო. დამრიგებლისა და ჩემი მხრიდან საუბრის შემდეგ, მიხვდა სპეციალური მასწავლებლის არსს და მას შემდეგ მისი მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება აღარ გამოვლენილა.“

როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, ტიპური განვითარების მქონე ბავშვებისა და მათი მშობლებისგან განსხვავებით, მიმღებლობის მხრივ უფრო დიდ პრობლემას ვაწყდებით თავად სხვა მასწავლებლების მხრიდან. ქ.ფოთის ერთ-ერთი სკოლის სპეციალური პედაგოგი ამბობს, რომ პედაგოგების მხრიდან მიმღებლობა შედარებით დაბალია, ეს ვლინდება თუნდაც იმაში, რომ სპეციალური საგანანათლებლო საჭიროების მოსწავლე შეიძლება სრული 45 წუთის განმავლობაში იჯდეს გაკვეთილზე და არავინ ჩათვალოს რომ ის იქ არის, ყველას გამოჰკითხო და მისთვის ვერ გამონახო თუდაც 2 წუთი, როგორც რესპონდენტმა თქვა, მიაღწიეს იმას, რომ სსმ მოსწავლეები სასკოლო ღონისძიებებში იყვნენ ჩართულები, თუმცა, აქვე დასძენენ, რომ მასწავლებლები ამას უმეტესად თავის წარმოჩენის მიზნით აკეთებენ და არა, რეალური ჰუმანურობისა და მიმღებლობის გამო.

ამავე აზრს გამოთქვმენ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებიც, რომლებიც ამბობენ, რომ ბევრი მასწავლებელი მხოლოდ იმიტომ იჩენს მიმღებლობას სსსმ მოსწავლეების მიმართ, რომ იციან სახელმწიფოს მიერ შემოღებული კანონის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ყველა მასწავლებელი ვალდებულია გამოავლინოს მიმღებლობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიმართ.

მათი თქმით, უკვე ცოდნის დონეზე ყველამ გაიგო, რომ თუ არ გაქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიმართ მიმღებლობა, ეს ისჯება კანონით, ამიტომაც ცდილობენ მიიღონ ეს მოსწავლე, თუმცა რეალურად არ უდგებიან საკითხს ჰუმანურად და არც ცდილობენ შეუქმნან სსსმ მოსწავლეს მასზე მორგებული გარემო, არ აქვთ ამ

მოსწავლეების მიმართ ტოლერანტობა და ემპათია; იციან, რომ უნდა ჩართონ ბავშვები საგაკვეთილო პროცესში, როგორ ჩართონ ეს კი - ნაკლებად .

როგორც კასპის ერთ-ერთი სკოლის სპეციალური პედაგოგი ამბობს, სხვა მასწავლებლების მხრიდან მიმღებლობის საკითხი აქაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ის ყვება თუ როგორ გაიგო, რომ ერთ-ერთი საგნის მასწავლებელი მეორესთან სიბრალულით მოიხსენიებდა იმ პედაგოგს, რომლის კლასშიც სწავლობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

- **,,კი არ უნდა გეცოდებოდეს, უნდა იცოდე, როგორ დაგეგმო და ჩაატარო იმ კლასში გაკვეთილი, რომელშიც არის სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და გაითვალისწინო მისი ინდივიდუალური საჭიროებები** .“ - ამბობს ერთ-ერთი სპეციალური პედაგოგი.

გამოკითხული რესპონდენტების პასუხებმა აჩვენა ისიც, რომ მასწავლებლების მხრიდან დაბალი მიმღებლობის ხარისხი, რომლის მიზეზადაც შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ ინკლუზიური განათლების საკითხმა ჯერ სულ რამდენიმე წელია რაც წამოიწია წინ, იმდენად არ უკვირთ სპეციალურ პედაგოგებს, რამდენადაც ის ფაქტი, რომ მასწავლებლებს არც სურთ გაიგონ, ისწავლონ, გაეცნონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მიდგომის ხერხებს, ზოგჯერ გაკვეთილზე გასაკეთებელ აქტივობებშიც კი არ უნდათ დახმარება. როგორც ისინი ამბობენ, სკოლების უმეტეს ნაწილში ანალოგიური სიტუაციაა.

ფოკუს ჯგუფის წევრები საუბრობენ ინდივიდულური გეგმის შედგენასთან არსებულ პრობლემებზე. ინდივიდუალური გეგმა იწერება სექტემბერში, მაგრამ, როგორც რესპონდენტები ამბობენ, თითზე ჩამოსათვლელი არიან ისეთი პედგოგები, რომლებიც რეალურად მიყვებიან

ამ გეგმას. განსაზღვრავენ აქტივობას, რომელშიც უნდა იყოს ჩართული სსსმ მოსწავლე, თუმცა მისი შესრულება უმეტესწილად არ ხდება, დოკუმენტი კი დოკუმენტად რჩება.

რესპონდენტების თქმით, მასწავლებლები რომლებშიც ვლინდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიმღებლობის დაბალი ხარისხი, ყოველთვის სვამენ კითხვას: ,,ჩემს კლასში იქნება?, როგორ მივაქციო ყურადღება სპეციალური საგანმანათლებლო საჭირობის მქონე ბავშვს მაშინ, როცა კლასში 25 მოსწავლე მიზის?".

,,ამისთვის არსებობს მეცნიერება - პედაგოგიკა და ასევე, ინკლუზიური განათლება, რომელიც უნდა ისწავლო და მეთოდები გამოიყენო პრატიკაში", -ხაზს უსვამს ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთი რესპონდენტი.

კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტი ამბობს, რომ საჭიროა საგნის მასწავლებლების დატრენინგება, იმისათვის, რომ გაიგონ რა არის ინკლუზიური განათლება და მიხვდნენ, არავინ არავის ავალდებულებს მოსწავლისგან მეცნიერი შექმნან, მთავარია, მათ მიიღონ საკუთარი თავი, მოახდიონ გარემოსთან ინტეგრირება, ჰქონდეთ საკუთარი თავის რწმენა და ბავშვობიდანვე ჩამოყალიბდნენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.

რაც შეეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებისა და ოჯახის მხრიდან მხარდაჭერას, ამ საკითხთან მიმართებაში რესპონდენტთა პასუხების შედეგები ორად გაიყო:

საჯარო სკოლების სპეციალური პედაგოგების ერთი ნაწილი ამბობს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების მხრიდან ჩართულობა არც ისე მაღალია, თუმცა, ცდილობენ არ გაწყვიტონ ელემენტარული კომუნიკაცია მაინც, თავდაპირველად უფრო აქტიურად ცდილობენ ჩართონ მშობელი შვილის სწავლების პროცესში, მაგრამ თუ ვერ ხედავენ მათი მხრიდან სათანადო დაინტერესებას, ხვდებიან რომ არ ღირს.

რც შეეხება, მეორე ნაწილს, ისინი ამბობენ, რომ საკმაოდ კარგად ვლინდება მშობელთა ჩართულობა. მათი თქმით, მშობლები ეხმარებიან სპეციალური საგანმნათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს დავალებების შესრულებაში, აქტივობებში, ინტერესდებიან საგაკვეთილო პროცესით, თავის მხრივ, სპეცილური მასწავლებლები ცდილობენ მუდმივი კომუნიკაციის რეჟიმში ყოფნას.

კახეთის ერთ-ერთი სკოლის სპეციალურმა პედაგოგმა ისიც კი თქვა, რომ ზოგჯერ მშობლები ბევრსაც ითხოვენ მათგან და გაიხსენა შემთხვევა, თუ როგორ დაჰყავდა მშობელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ყოველი გაკვეთილის შემდგომ რესურს ოთახში.

როგორც კვლევამ აჩვენა, სპეციალური მასწავლებლები ყოველთვის ცდილობენ შექმნან დადებითი და პოზიტიური განწყობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიმართ. ისინი ამას ახერხებენ სხვა პედაგოგებთნ მოსწავლეებთან და მშობლებთან შეხვედრებითა და საუბრებით, ადმინისტრაციასთან ერთად პრობლემების განხილვითა და გადაჭრის გზების ძიებით, გაკვეთილებზე ხშირი დასწრებითა და რჩევების მიცემით.

მათი თქმით თუ ბავშვებს თავიდანვე ავუხსნით, რომ ყველა ადამინი თანასწორია და არ შეიძლება გმოვარჩიოთ რაიმე ნიშნით, მოსწავლეების მხრიდან თავისთავად ხდება პოზიტიური განწყობისა და სპეციალური სააგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიმღებლობისადმი მზაობის შექმნა.

3.6. სპეციალური მასწავლებლის პრობლემები საკუთარი უფლებამოსილების ეფექტურად განსახორციელებლად

საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხასისხიანი ინკლუზიური სწავლებისათვის, აუცილებელია, შენობის ინფრასტრუქტურა იყოს მოწესრიგებული, ისევე, როგორც რესურს ოთახში უნდა ჰქონდეს სპეციალურ მასწავლებელს ყველა ის რესურსი, რომელიც სჭირდება მას სპეცალური საგანმნლებლო სჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობისთვის. ზიგიერთ სკოლაში ამ კუთხით ვხვდებით გარკვეულ პრობლემებს.

კვლევამ აჩვენა, რომ კახეთის სკოლების რესურს ოთახები ყველანაირად არის აღჭურვილი იმ ნივთებითა თუ მეთოდური სახელმძღვანელოებით, რომელიც ესაჭიროება სპეციალურ მასწავლებელს, მათი თქმით, რაც სჭირდებათ თითმის ყველაფერი აქვთ, რესურსების მხრივ ხელი არ ეშლებათ, თვითონაც მუდმივად ცდილობენ ინტერნეტში მოიძიონ მასალები და სიახლეეები რაც უფრო ეხმარებათ სწავლების პროცესში. საგაკვეთილო პროცესს რაც შეეხება, ამბობენ, რომ თუ თვითონ მასწავლებლის მოტივაცია არ არსებობს, მაშინ არც რესურსებია კლასში სათანადო და არც სწავლება მიმდინარეობს შესაბის დონეზე. მაგრამ რესურსების მიუხედავად, აქ პრობლემა ვლინდება თავად სკოლის ინფრასტრუქტურაში - არ არის მოწესრიგებული სველი წერტილები და პანდუსები, თუმცა, როგორც რესპონდენტებმა თქვეს, უახლოეს მომავალში იგეგმება შენობის რეაბილიტაცია.

რაც შეეხება თბილისისა და სხვა რეგიონების საჯარო სკოლების სპეციალური პედაგოგების უმეტესობა ხაზს უსვამს შენობის ინფრასტრუქტურის ადაპტირებულობას, თუმცა აქ ვლინდება რესურსების ნაკლებობის პრობლემა. ისინი ამბობენ, რომ, რა თქმა უნდა, არის გარკვეული მასალები, მაგრამ კიდევ ბევრია საჭირო იმისთვის, რომ

სულყოფილად შეძლონ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.

როგორც სპეიალური პედაგოგები ამბობენ, აუცილებელია რესურს ოთახში იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე მორგებული ქართულის, მატემატიკის, ინგლისურის, ლოგიკური ამოცანების სახელმძღვანელოები, ფერადი ფანქრები და ფლომასტერები, სახატავი რვეული, საკომუნიკაციო ბარათები, ფაზლები, (ხის და ღრუბლის), ხის მეთოდური განმავითარებელი მასალები, მაგნიტური, ხის და ასაწყობი ანბანი, ასაწყობი მატემატიკური რიცხვები, თიხა, კინეტიკური ქვიშა, პლასტელინი, გუაში, ქსილოფონი, მუყაოსა და ხის საათი, ლოტო, ხისა და სქელი მუყაოს ასოები, ციფრები, პლასტელინები.

ერთ-ერთი რეგიონის სკოლის სპეციალური პედაგოგი ამბობს, რომ რესურსების ნაკლებობა პრობლემას წარმოადგენს:

- **„ვისურვებდი, აქ იყოს ფერადი და ჩვეულებრივი პრინტერი, უზრუნველყოფილი ვიყოთ ინტერნეტით, საჭიროა მეტი მეთოდური სახელმძღვანელო.“**

კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტი ამბობს, რომ გრძნობენ მაქსიმალურ ხელშეწყობას და მხარში დგომას იმ სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, რომელშიც მუშაობენ. ისინი აღნიშნავენ, რომ სკოლას თუ ბიუჯეტი აქვს აუცილებლად ეხმარება მათ ნებისმიერი რესურსის მოპოვებაში; ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს კახეთის ერთ-ერთი სკოლის რესურს ოთახი, რომლის სპეციალური პედაგოგი ამბობს, რომ თუ რამე დასჭირდება მეორე დღესვე ყიდულობს სკოლის ადმინისტრაცია, ასეთ ერთ-ერთ ყველაზე კარგ შენაძენს წარმოადგენს ლოგიკუმის ყველა სათამაშო, რომელიც იდეალურია გონების განსავითარებლად.

ადმინისტრაციის მიმართ იგივე დამოკიდებულებით არიან ფოკუს ჯგუფის მონაწილეებიც. ისინი ამბობენ, რომ თუ სკოლას ბიუჯეტი აქვს,

ყოველთვის ეხმარებიან, მაგრამ დასძენენ, რომ თავად სახელმწიფოს მხრიდან არის საჭირო მეტი სახსრები. ამ ეტაპისათვის 30-ზე მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე ყავთ, ერთი რესურს-ოთახი უკვე არასკმარისია, რის მოგვარებაზეც დირექტორმა უკვე გამოთქვა მზაობა, თუმცა ყველა რესპონდენტის აზრით, სახელმწიფოა ვალდებული სკოლას გამოუყოს მეტი თანხა საჭირო რესურსების შესაძენად და ინკლუზიური სწავლების ეფექტური განხორციელებისთვის.

3.7. ანაზღაურება, მოტივაცია, ხელშეწყობა

მასწავლებელთა და მითუმეტეს, სპეციალურ პედაგოგთა ანაზღაურების საკითხი ყოველთვის მწავედ იდგა ჩვენს ქვეყანაში. 2018 წელს, სპეციალური პედაგოგების ხელფასი სახელმწიფოს მიერ 280 ლარიდან 380 ლარამდე გაიზარდა, მაგრა ეს არასაკმარისია. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგადაც ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად სწორედ ხელფასის სიმცირე დასახელდა.

გამოკითხული რესპონდენტებიდან თითოეულმა ნათლად დააფიქსირა თავიანთი აზრი იმის შესახებ, რომ ხელფასი ძალიან დაბალია, თუმცა ზოგიერთი მათგანი ბოლო პერიოდში ანაზღაურების 100 ლარით მატებას პოზიტიურად უყურებს და იმედს იტოვებს, რომ სახელმწიფო კიდევ მოამატებს.

თუმცა ფოკუს ჯგუფის თითოეული წევრი აღნიშნავს, რომ ხელფასის სიმწირე საკმაოდ რთული საკითხია. მათი სურვილია, დაიწეროს სქემა, ჩაუტარდეთ შესაბამისი გამოცდები და მიიღონ მათივე კვალიფიკაციის შესაბამისი ანაზღაურება.

რესპონდენტები ამბობენ, რომ მიუხედავად მათი საქმისადმი სიყვრულისა, თუ გამოჩნება საგნის პედაგოგის სრულგანაკვეთიანი ადგილი,

დატოვებენ სპეციალური პედაგოგის ადგილს და გადავლენ, რადგან ანაზღურება იქ ორჯერ მეტია.

- ,,დაგვიწერონ სქემა, ჩავაბარებთ გამოცდებს და მოგვცენ ჩვენივე ცოდნისა და კომპეტენციების შესაბამისი ანაზღაურება. უსამართლოდ არაფერს ვითხოვთ".

- ,,მიუხედავად იმისა, რომ მიყვარს ეს საქმე, იმდენად დაბალია ანაზღაურება, თუ რამე სხვა ადგილი გამოჩნდება უკეთესი ანაზღაურებით, აუცილებლად გადავალ. ეს დიდ პრობლემას წარმოადგენს. დღევანდელი ხელფასი ცხოვრებისთვის არ კმარა." - ამბობენ კვლევაში მონაწილე რესპონდენტები.

თუმცა კვლევაში მონაწილეთა შორის არიან ისეთებიც რომლებსაც კარგად ესმით ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემის სირთულე, მაგრმ მაინც მზად არიან განაგრძონ მუშაობა, მაგრამ დარწმუნებით ამბობენ, რომ მათი სამუშაო არ არის მარტივი და ნამდვილად იმსახურებენ ხელფასის გაზრდას.

კითხვაზე, თუ რმდენად გრძნობენ ხელშეწყობას სახელმწიფოს მხრიდან, იმისთვის, რომ წარმართონ ინკლუზიური სწავლების პროცესი და შეძლონ მიაღწიონ დასახულ მიზნებს, გამოკითხული სპეციალური პედაგოგები განურჩევლად პასუხობენ, რომ სახელმწიოს მხრიდან ხელშეწყობა მინიმალურია, ხელფასების 100 ლარით გაზრდა კი ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც შეიძლება გაკეთდეს სახელმწიფოს მხრიდან ამ კუთხით.

სინტერესო შედეგები გამოვლინდა კითხვაზე, თუ რა აძლევთ მოტივაციას, ხელფასის მიუხედავად, იმუშავონ სპეციალურ მასწავლებლად. როგორც პასუხების 30%-დან ჩანს, სპეციალური მსწავლებლების მოტივაციას განაპირობებს მათივე დამოკიდებულება და სიყვარული ამ საქმისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მიმართ.

ერთ-ერთი სპეციალური პედაგოგის თქმით, მისი მოტივაციაა ბავშვები რომლებსაც სჭირდებათ იგი და განცდა იმისა, რომ კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია მათი მაქსიმალური ჩართულობისა და ინტეგრაციისთვის როგორც სასწავლო საგაკვეთილო პროცესში, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

- ,,ჩემთვის ყველაზე დიდი მოტივაციაა ის, რომ ბავშვებს ძალიან უხარიათ ამ ოთახში შემოსვლა, თუნდაც ის, რომ სკოლაში მოსული აქედან შემიძლია უკეთესი განწყობით გავუშვა, ვხედავ როგორ ვაღწევ იმ მიზნებს, რომლის მიღწევაც ვიღაცისთვის წრმოუდგენელიც კი იყო“,- ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი.

თუმცა ფოკუს-ჯგუფმა გამოკვეთა სხვაგვარი შეხედულებებიც:

- ,,თავდაპირველად მაინტერესებდა, მაგრამ ახლა ჩემთვიის ყველაფერი უფრო მოსაბეზრებელია. პირველ რიგში უნდა გიყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებ. მე პირადად, ჩემი სფეროს -ფსიქოლოგიის კუთხით ვერანაირ განვითარებას ვერ ვხედავ ამიტომ, ვფიქრობ, ამ სფეროში ამოვწურე ჩემი თავი და აქ აღარ უნდა ვიყო, მითუმეტეს, რომ ხელფასიც შეუსაბამოა“.

- ,,მოტივაციას მიქმნის თუნდაც ის ერთი მოსწავლე, რომელიც წლის დასაწყისში ასოებსაც კი ვერ ცნობდა კარგად, ახლა, წლის ბოლოს კი უკვე კითხულობს, თავიდან ამას ვერავინ წრმოიდგნდა, მაგრამ მონდომებით, მეცადინეობით ისეთ წინსვლას მივაღწიე, რომ ამაზე დიდი მტივაცია ჩემთვის არ არსებობს. თუმცა, როგორც კი სკოლის კედლებიდან გადიხარ, ხვდები, რომ ცხოვრება გჭირდება, ამიტომ ანაზღაურების საკითხი მოსაგვარებელია, როცა ასეთი დაბალი ხელფასია და იცი, რომ სხვა პედაგოგს აქვს 700-800 ლარი ხელფასი, თავს მეორეხარისხოვნად მიიჩნევ და მოტივაციაც ნაკლებია.“ - ამბობს ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე.

როგორც ჩანს, გმოკითხულთა დარჩენილი ნაწილი კვლავ მბობს, რომ მოტივაცია უქმნით თუნდაც ლოდინი, რომ ხელფასები გიზრდება, ზოგიერთი მათგანი კი უკვე ვეღარ ხედავს მოტივაციას, ფიქრობს, რომ საკუთარი თავი ამოწურა ამ სფეროში, არც ხელფასი აწყობს და ვეღარც კარიერულად ვითარდება.

დასკვნა

რომ შევაჯამოთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის განათლების მიწოდების კუთხით, სპეციალური მასწავლებლების წინაშე გამოვლინდა მთელი რიგი პრობლემები, რომელთაგან პირველია სპეციალურ პედაგოგთა განათლება, ცოდნა და კომპეტენციები.

დღესდღეობით, ის ტრენინგები და იშვიათად - სხვა პროგრამები, რომელიც არსებობს სპეციალური პედაგოგების კომპეტენციის ამაღლების მიზნით, არასაკმარისია, თითოეული მათგანი საჭიროებს მეტ გადამზადებასა და სიახლეების შეძენას პროფესიული თვალსაზრისით. როგორც აღმოჩნდა, სპეციალური განათლების კუთხით უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული პრაქტიკაც არასაკმარისია და სპეციალურ პედაგოგთა უმრავლესობას არ გაუვლია საბაკალავრო ან სამაგისტრო კურსი ინკლუზიური განათლების შესახებ. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სპეციალურ პედაგოგთა მხრიდან საკლასო მიდგომების კუთხით- თითოეულ მათგანს გააჩნია ინდივიდუალური, საინტერესო და ნაყოფიერი მეთოდები სსსმ მოსწავლის სწავლებისათვის, თუმცა ამ შემთხვევაში ვაწყდებით როგორც ინფრასტრუქტირის, ასევე, სკოლაში რესურსების სიმწირის პრობლემას, რაც ხელს უშლის ინკლუზიური განათლების სრულყოფილად მიმდინარეობის

პროცესს. დიდ პრობლემას წარმოადგენს მიმღებლობის დაბალი ხარისხი და სსსმ მოსწავლეებისთვის განათლების მიწოდების საკითხისადმი ნაკლები ინტერესი სკოლის სხვა პედაგოგების მხრიდან, იგი ვლინდება ნაკლები ტოლერანტობითა და ჰუმანურობით, რაც თავის მხრივ, გამოწვეულია წარსულში ამ სფეროში ცოდნისა და გამოცდილების არქონის გამო.

და ბოლოს, ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ანაზღაურება და სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ხელშეწყობა, რის გამოც სპეციალური მასწავლებლების უმრავლესობა კარგავს მოტივაციას, იმუშავოს ამ სფეროში და მზად არის დატოვოს სამსახური, სხვა, უკეთესანაზღაურებადი სამუშაოს შოვნის შემთხვევაში.

რეკომენდაციები:

იმისათვის, რომ მოგვარდეს კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემები და გაუმჯობესდეს სიტუაცია ინკლუზიური განათლების კუთხით, საჭიროა გარკვეული რეკომენდაციების გათვალისწინება:

1. პირველ რიგში, საჭიროა სახელმწიფოს სტრუქტურების მხრიდან მაქსიმალური ჩართულობა - მათ უნდა გაითვალისწინონ და გამოყონ მეტი ბიუჯეტი იმისთვის, რომ მოხდეს სკოლებში რესურს ოთახების ყველანაირი მასალითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით აღჭურვა.

2. საჭიროა, სახელმწიფოს მხრიდან გამოიყოს თანხები არამარტო სპეციალური პედაგოგების, არამედ, სხვა მასწავლებლების გადამზადებისათვის, იმისათვის, რომ საბოლოოდ გაიგონ თუ რას გულისხმობს ინკლუზიური განათლება, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება და მიდგომები სსსმ მოსწავლეების მიმართ, რათა გამოვლენილი ტოლერანტობა და მიმღებლობა არ იყოს განპირობებული მხოლოდ იმის შიშით, რომ სახელმწიფო აკანონებს სსსმ მოსწავლეების მიმღებლობას და მისი არშესრულება ისჯება.

3. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მოქმედი სპეციალური პედაგოგების პროფესიულ ზრდაზე. მასწავლებლის სახლის 120-საათიანი ტრენინგის გარდა, უნდა ჩაატაროს სხვა უფასო ტრენინგებიც, რომლის გავლაც არ იქნება ფუფუნება და შეძლებს ყველა დაინტერესებული სპეციალური პედაგოგი.

4. როგორც სახელმწიფოს, ასევე, სხვა ორგანიზაციების მიერ საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცი აინკლუზიური განათლების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას ამ კუთხით და სსსმ მოსწავლეების მიმართ მიმღებლობის ხარისხის გაზრდას როგორც მასწავლებლებისა და მოსწავლეების, ასევე, მშობლებისა და სხვა ნებისმიერი პიროვნების მხრიდან

5. აუცილებელია, სახელმწიფომ იზრუნოს სპეციალურ პედაგოგთა ანაზღაურების საკითხზე. მართალია, 2018 წელს ხელფასმა მოიმატა 100 ლარით, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ეს მატება ძალიან მწირია და მთლიანობაში ანაზღაურება რჩება ძალიან დაბალი იმ საქმესთან შედარებით, რასაც სპეციალური პედაგოგები აკეთებენ, საჭიროა დამატებით ცვლილებები. ეს ხელს შეუწყობს სპეციალურ პედაგოგთა მოტივაციის ამაღლებასა და მათი სახით ამ პოზიციაზე მუდმივი კადრის არსებობას.

ლიტერატურის მიმოხილვა

1. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის გაიდლაინი, (2014), https://emc.org.ge/ka/products/gaeros-shezghuduli-shesadzleblobis-mkone-pirta-uflebebis-konventsiis-uncrpd-implementatsiis-gaidlaini, 02.04.2019
2. გურული ნ. , ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლება ევროპაში", (2013), https://emc.org.ge/ka/products/nino-guruli-shshm-pirebis-ganatleba-evropashi , 10.05.2019
3. ზურაბიშვილი თ. (2006), თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში,http://www.ucss.ge/publication/012%20Tvisebrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvlevebshi.pdf , 7.05.2019
4. ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა, (2009), http://mes.gov.ge/upload/multi/geo/1243932215_inkluzia.pdf,
5. ,,საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლებისა და მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი" http://issageorgia.com/files/Reports/ganatlebis%20saministro/Monitoring%20of%20the%20Inclusive%20and%20Transit%20education%20programms%20%28Synthesis%20Anaysis%29%20FINAL.pdf, 15.06.2019
6. *,,სპეციალური მასწავლებელი, როგორც ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი მთავარი რესურსი და არსებული გამოწვევები", (2018), https://csogeorgia.org/uploads/library/248/SpecTeacher.pdf?fbclid=IwAR0D5oapV7uj74MmMtRbdhQ2abA7zY9TxVcSH-i7fpGcNevag4AH5lGZINs*
7. *შერგილაშვილი ც., ,,კანონი აღიარებს ადამიანს სპეციალურ მასწავლებლად, მაგრამ სისტემა არ ცნობს მას!" (2017), https://edu.aris.ge/news/kanoni-agiarebs-adamians-specialur-maswavleblad-magram-sistema-ar-cnobs-mas.html*

8. ჭანტურია რ, ჩხაიძე თ, გორგოძე ს, ,,ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში“, (2016), http://cdi.org.ge/uploads/pages/alternative-report-on-the-implementation-of-crpd-education-cdi-geo-91.pdf
9. *Ghaleb M. , Hisham A., Suha A. ,,Problems Faced by Preservice Special Education Teachers in Jordan“, (2015) https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1060875.pdf*
10. Takala, M., & Ahl, A, ,,SPECIAL EDUCATION IN SWEDEN AND FINLAND -seeing the forest or the trees? ``(2014).
11. ,,What are the Challenges of Being a Special Education Teacher?“ ((2013), https://www.special-education-degree.net/what-are-the-challenges-of-being-a-special-education-teacher/.
12. Woods L. ,, Social Issues That Special Education Teachers Face“, (2018), https://work.chron.com/social-issues-special-education-teachers-face-27694.html